



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

036060
(ს0360)
15-30
№12 (345)
(5771)
2011

„מנורה“
עיתון יהודי
בגוריה

დოქ. ნინო გონისაშვილი
პროფ. გურამ ლორთქიფანიძე

„გთხოვთ გამომიძახოთ სპეციალური პირადი განცხადებით და მაშინ ყველაფერს აღვწუსებ დანვრილებით“.

ახალი საარქივო მასალა რაბი
დავით ბააზოვის შესახებ



ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუდაიკის ცენტრი, „ჯონთის“ გრანტის შესაბამისად, მუშაობს ებრაულ გალუთთან დაკავშირებულ საარქივო მასალების გამოვლენაზე. უკვე გამოიცა საქართველოს საისტორიო არქივის (დირექტორი დოქტორი ზ.ყვანია) ებრაული დოკუმენტების გზამკვლევი საბუთების ანოტაციური კრებული, რომელმაც ებრაული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო როგორც ჩვენში, ასევე ისრაელსა და მოსკოვში.

ყოფილ პარტიულ არქივში (ფონდი 14, აღწერა 3, 1927-1928) მოკვლეული იქნა საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელზე შეტანილი გორის მაზრის პარტიული კომიტეტის თანამშრომლის, კომუნისტ შ. ბ. განცხადება, რომელიც კარგად ასახავს ეპოქის სულიკვეთებას. განმცხადებელი ახასიათებს რაბი დავით ბააზოვის საქმიანობას. სხვა დოკუმენტის მიხედვით, ის სპეცოროგანოების ინტერესების სფეროში შედიოდა და მას გამუდმებით უთვალთვალავდნენ.

განმცხადებელი წერს, რომ 1927 წლის 27 სექტემბერს მას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სააგიტ-პროპაგანდო განყოფილებაში შეუტანია განცხადება, სადაც ეხებოდა „ქართველი ებრაელების ყოფა-ცხოვრებას და მათ შორის მუშაობის წარმოების საშუალებებს“ (სტილი დაცულია). ავტორი წუხს, რომ „აღნიშნული განცხადება თითქმის უყურადღებოდ დარჩა“, მხოლოდ ოთხი თვის გასვლის შემდეგ მიუღია პასუხი და მას თხოვდნენ „ქართველ ებრაელთა შორის მუშაობის გეგმის პროექტს“. შ. ბ. წერს:

„პარტმუშაობაში მაქვს საკმაო პრაქტიკა, რამაც მე დამანახვა ერთგვარი არანორმალურობა“. მისი აზრით, „კომპეტენტური ორგანიზაცია,“ ანუ ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება „არ გაეცნო საკითხს არსებითად“, რის შედეგად, მისი სიტყვებით: „ჩვენ ვხედავთ ქართველ ებრაელებში ერთგვარ მოძრაობას (თუ შეიძლება ამას ემიგრანტულს ვუწოდებ), რომელსაც ხელმძღვანელობს რაბინი დავით ბააზოვი, მხოლოდ ამ მოძრაობამ აამუშავა პარტოროგანოები და ხელისუფლების სხვადასხვა დანესებულებები, გამოიყო სპეციალური კომისია ვანო სტურუასა და სხვ. მონაწილეობით. განმცხადებელს ეშინია, რომ კომისია შეიძლება შეცდომაში შეიყვანონ „ბააზოვის წყალობით“. ის წერს:

„ვინაიდან ჩემთვის პარტიის ავტორიტეტი ძვირი ღირს, ამიტომ გთხოვთ მე როგორც ქართველი ებრაელი და პარტიის წევრი დამეხმაროთ ამ მუშაობაში, რაც მოგვცემს საშუალებას თავის დროზე გაიგოთ და ფარდა ახადოთ ბააზოვის ყოველგვარ შოვინისტურ ხრიკებს. ამასთანავე ვაცხადებ, რომ ებრაელთა შორის სპეციალურ მუშაობაზე რომ მომცეთ რაიმე თანამდებობა არ მინდა. არამედ მე მინდა ვიქნე ცეკასთან ახლო და აღმოუჩინო ყოველგვარი დახმარება ამ საკითხთან დაკავშირებულ მუშაობაში.

ამ მოკლე განცხადებაში მე არა მაქვს საშუალება საკითხი გავაშუქო თავის სიგრძესიგანით და ამიტომ გთხოვთ გამომიძახოთ სპეციალური პირადი განცხადებით და მაშინ ყველაფერს აღვწუსებ დანვრილებით“.

კომსალგით შ. ბ.

რეალია

„აუსა კარგად ვერვინ შესცვლის,
თავსა ახლად ვერვინ იშობს.“

ჯ. ხუხაშვილი და კომპანია კვლავ განაგრძობს თავდასხმებს „მენორას“ და მის რედაქტორზე. ჯ. ხუხაშვილი სხვადასხვა ინსტანციაში – სამეცნიერო, თუ შემოქმედებით ორგანიზაციებში არიგებს „ჟამი ერთობისას“ ჩანართში დაბეჭდილ ოპუსს, რომელშიც გ. ბათიაშვილს ბრალად უყენებს რეპლიკებში: „რატომ იცინით, ბატონო მინისტრო!“ (სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრზე. გაზეთები „რეზონანსი“, 15 აპრილი, „მენორა“ 1-15 აპრილი) და „ტყუილი, ტყუილი, ტყუილი!“ („მენორა“ 1-15 მაისი, 2010 წ.) გამოთქმულ მოსაზრებებს და მისი ყბადალებული დაჯგუფების წევრის – თ. მამისთვალის მხილებას („მენორა“ №3, 2011 წ.).

ასეთ შემთხვევაში იტყვიან: წერე და იკითხე! ჩვენ კი მკითხველს ჯერჯერობით უკომენტაროდ ვაწვდით ინფორმაციას – იქნებ, ჯ. ხუხაშვილმა ყველას – წამქეზებელთ, დამფინანსებელთ, ვერ მიაწვდინა იგი.

გამოსახლება

იცხაკ დავიდი

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს გამოჩენილ მეცნიერსა და პოეტს იცხაკ დავიდს, შეიძლება ითქვას, იგი ჩვენი გაზეთის არა მხოლოდ მკითხველი, აქტიური ავტორიცაა. ამას წინათ კი, გაზეთის თანამშრომელთან გამოთქვა სურვილი მკითხველს კვლავ წარმოუდგინოთ სტროფები მისი ცნობილი პოეტური ციკლიდან „გამოსახლება“.

პოეტისა და მეცნიერის ამ სურვილს სიამოვნებით ვასრულებთ.

„მენორას“ თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორია იცხაკ დავიდის ამჟამინდელი შემოქმედებითი და სამეცნიერო ცხოვრება, სატელეფონო საუბარში მან თქვა:

— ამჟამად ვაშინგტონში ვმუშაობ. ბოლო წლებში ინგლისურ ენაზე გამოიცა ჩემი ნაწარების 12 ტომი. თითოეული ტომი 700 გვერდის მოცულობისაა — 12 ტომი „რევულაციონალური ცივილიზაცია განვრცობადობაში“. თავისი ილუსტრაციებით და აკადემიური აპარატით. ეს წიგნები მსოფლიოს ძირითად უნივერსიტეტებსა და აკადემიებშია წარდგენილი. იაპონიიდან დაწყებული კანადით დამთავრებული. 12 ტომი მსოფლიო ცივილიზაციების ისტორიას მოიცავს, მათს წარმოშობას. ძირითადი პარადიგმა არის ალბუნი ისრაელური, ებრაული რევლაცია, ანუ გამოცხადების ფენომ-

ენი, გამოცხადების ფენომენტან არის შესაბამისებული მსოფლიო რელიგიების წარმოშობა, მსოფლიო ხალხთა ფოლკლორის, მათი ზნეობრივი ჩვეულებების, ტრადიციების სეგმენტაცია და ანალიზი. შრომა მოიცავს ყველა ხალხის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, ჩვენი ძირითადი გამოთვლებით, რაც მსოფლიოს სპეციფიკურ ტომებს ეხება, დაახლოებით ლაპარაკია 15000 ტომზე, 15000 ეთნიკურ ერთეულზე, მაგალითად, ბრაზილიის ამაზონიაში დაახლოებით 500 ტომია, კამერუნში, ნიგერიაში 200-300 ტომია, ასევე ავსტრალიაში და ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ლაპარაკია მსოფლიოში არსებულ 15000 ტომზე, მათ ენაზე, რელიგიებზე. ამ წიგნებში ეს ყველაფერი გაანალიზირებულია. დღეისათვის ამ გლობალური მასალის 20-დან 30 პროცენტამდეა ამოღებული. ჩვენს მიერ ამ მასალის დახარისხება შესწავლა და ანალიზი ხდება. მუშაობა გრძელდება, XIII—XVI ტომები უკვე გადაცემულია დასაბეჭდად.

ასევე, ბუენოს-აირესში გამოიცა ჩვენი „ილუზიები“, ეს წიგნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასაც გადაეცემა. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ჩვენს მეგობრებს საქართველოში გადავცეთ ყველა ის წიგნი, რომელსაც საზღვარგარეთ გამოვცემთ.

(ფრაგმენტები)

გამოსახლებაა!.. ელიან მესიას, და ბნელი ქალაქის ქუჩებს მოედება —

ჩვენი თანამგზავრი ღმრთები კვენსიან აჩრდილ-მორჩენების ასეთ მოფერებას.

და იქნებ შეჩერდეს სიცოცხლის წრებრუნვა,

და იქნებ იკმაროს სიკვდილი ბუნებაში,

თავბრუ დაეხვევა თუ ქარებს ეკურთხა,

დედას ელოცება და ჩვენ გვემუქრება... —

ახალი ომებით, ახალი სისხლდენით, და მღვრიე ტალღების მუდმივი ქშუილით,

რევოლუციებით სამყაროს გვიშენებს,

ბავშვებს ოქროპირა ტუჩებით უცინის.

უცინის წამებას ნატრული წადილით,

წარსულს რომ ესვენა, მიწას მოეფონა,

ქარში ფრიალებდა ცისფერი მანდილი

მომავლის სახების ძეგლთა მოლოდინში.

გადატრიალდება ტირანი საფლავში

სული არხიერი იწყებს მდინარებას —

გამოსახლებათა დამდგარა მაშვრალი,

წელი ბედნიერი, სადღაც იმარხება... —

ის ძველი ოცნება წყალსა და ეთერში,

კოსმიურ სიმშვიდეს უცდიდნენ ხლართები —


ტირილს ეკონება ობოლი პირიმზე, პირქვე ვეცემით და ისევ ვიმართებით.

ისევ ვიმართებით სხვა გზაც აღარა ჩანს,

მზე გვამს ემსგავსება, სამყარო საცხედრეთს,

ამ დუმილს ქარების ოცნებას გავატანთ,

ახალ დაბადებებს ანგელოსს ვავედრებთ... —



რისთვისღა ვიბრძოდით, ამდენი რუდუნი, სიზიფს ასატანად როდის დავაბრალეთ... —

ვისთვის ვირჯებოდით და ქვითინსლუკუნით,

გვამი მარჩიელი მიწას მივაბარეთ.

გათენდეს! ისმოდა ბგერა წამიერი, ხალხი თავს იყრიდა და იყო გოდება.

მაგზოლეუმებთან ღმერთი სახიერი ბელადს ანიჭებდა მომავლის ნოდებას.

და იყო სიცილი რაღაც მტკივნეული, სულის მრისხანებას კვამლი აბოლებდა,

თითქოს, დაბადებით თავი იმზეურა ყოვლად კაცული შიშის საყოლეთმა.

შიში! ისევ შიში, ლენილი ოცნება, სახლში შემოჰყვება ბოლო დაღამებით,

შხამი კი აქაა... შხამი კი გროვდება და ქალი მისტირის ქარებს სამარესთან.

ვერა, ვერ შეუძლო, დარჩა უკარება, ცნებამ გამოშიგნა ენის გულნივარი

ტვინში ნეირონი უცხოოდ კანკალებდა, სოფლად ქრატუნობდა ერთი ონი-ნარი.

დარჩა მოგონება!.. ისევ მოგონება, კერპის თლილი ტერფით სევდა-მოტანილი,

დედა შვილს უცდიდა და თავს აცოდებდა

ღმერთის უმწეობას, შორს რომ განაპირდა... —

დედავ, შენ ხომ გახსოვს, როგორ ვვარდებოდი,

დაცემის სენით და ნაზი კელაპტრებით —

შენს თვალებს ესარკა ჩემი არსებობა,

დედავ! შენ ხომ ახლაც, ახლაც მე-ლანდები... —

საშო დაგენმინდა მუცლის რაფუნებში

შენით დაირხევა უფსკრული წრეხაზის,

ვიშივი გამორჩევა და მე მაკუთვნებდი

ცნობიერებათა მოლენვის ზედაპირს.

და ამ ზედაპირულ სარკეს შევენირეთ,

მსხვერპლი და მომსხვერპლე და ეს სამწირველო,

ღმერთი ჩამოგვიგებს წითელ კამესინებს,

ლურჯი სამაისო ალით ვანინდელობთ.

გამოსახლება!.. ცეცხლი ეკიდება ველებს საწუკვარი ნექტრის სამეულთით,

ჩვენც მისტერიული გვნადია დიდება,

როცა არამზადებს ტაძრით აძვეებენ.

ახდა ოცნება და ვპოვეთ გამარჯვება... —

თოვლის მირაჟებში ქალი ჩაიკარგა, გველი სამწირველოს ვნებით შემორტყმოდა

და ათამაშებდა ლამაზ ნატვრისთვლებს.

ჩრდილოეთს დაუუცდით, დუმილით, გოდებით

მშობლიურ ქარებსღა დარჩებათ სამანი... —

ბრძანება ირმიაჰუ: მოდიან მოგვები, სკვითური შუბებით, მესხური ქამანდით... —

მოდიან და უცხოს მღერაინ სიმღე-



რას, წვიმა გადაიღებს, კაცნი სცემენ ამენს... —

იქ დიდ სამსხვერპლოსთან იმედი იმსხვერვა,

ჩვენი უბედობაც იქით მიგვაქანებს... —

სადაც მოზაფრული ბობოქრობს ზამთარი,

ნაძვიც ატიტებულ მთვარეს ეკონება... —

ბნელ არმაგედონში სეანსებს ვამთავრებთ

და ვუსმენთ უცოდველ, ნაცნობ შეგონებას.

წვებოდა საღამო ვიშით და სურვებით.

ვილაცაც მღეროდა სევდიან არიას: ბგერდა ანგელოსის ალისფერ ტუჩებში,

კარუზოს ღვთაებრივი ავე-მარია. დავუნთოთ სანთლები!.. ჩვენ ქარებს დავუნთეთ,

ეს კანდელაბრები... იებსაც გავატანთ!

ირწევა აკვანი... განძი და საუნჯე რჩებათ დასავლეთის ალანძულ სატანებს.

გამოჩნდი, ნათელო!.. გამოცხადებაა!

ქალი შეაცივდა ბუნკერულ მირაჟებს

და ნარინჯოვანი სინაზის ნაკვთებით

ბელადს და მოციქულთ სამებით ინაცვლებს... —

ილუსტრაციები იაკობ ფიჩხაძისა



„ამ საქმესა მემოწმების დიონისი ბრძენი, ეზროს“

ისრაელში შოთა რუსთაველის დღეების – ქართული პოეზიის კვლევის ჩატარების წინ გამოვიდა ქართველ და ისრაელელ პოეტთა ლექსების კრებული „სულიერების ტრიპტიხი“. კრებულის შემდგენელ-რედაქტორები არიან მაყვალა გონაშვილი, ორციონ ბართანაშვილი, გურამ ბათიაშვილი, რეუენ ენოსი. საქართველოს მხრიდან წინასიტყვაობა დაწერა გურამ ბათიაშვილმა, ისრაელის მხრიდან – პროფესორმა ორციონ ბართანაშვილმა და რეუენ ენოსმა.

კრებულში დაბეჭდილია ისრაელელი პოეტების: სენ კლაიმანის, ითამარ იუზ კესეტის, ოინდავ კაბლუნის, ითაგ ნაიკის, ორციონ ბართანას, ამირ ორის, ნინონ ოზაქონის, ოსებ ოზერის, კარენ კალა გუტის ლექსები ებრაულ ენაზე. აქვეა ამ ლექსების ქართული თარგმანები, შესრულებული ბესიკ წარანაულის, ჯანსუღ ჩარკვიანის, დავით შქოქიძის, მაყვალა გონაშვილის და რეუენ ენოსის მიერ.

კრებულში შესულია გალაკტიონ ტაბიძის, ლია სტურუას, მუნრან მაჭავარიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მაყვალა გონაშვილის, ფრიდონ ხალვაშის, თამაზ ქვიციანი, რუსო ამაშუკელის, ბესიკ წარანაულის, ტარიელ ჭანტურაის ლექსები ქართულ და ებრაულ ენებზე. ლექსები ებრაულად თარგმნეს ორციონ ბართანაშვილმა და რეუენ ენოსმა. გათავსებულია ორივე წინასიტყვაობა, შემდეგ კი – რეპორტაჟი.

წინაპრისაკენ

იერუსალიმში ხშირად ვყოფილვარ – თვეობითაც კი მიცხოვრია ამ ღვთის ნებით შექმნილ ქალაქში. დავითის ქალაქში ყოფნისას ხშირად მივსულვარ ჯვრის მონასტერში – ძველი საქართველოს სიდიადეს აქ ყველაზე ცხადად შეიგრძნობ.

ამ რამდენიმე წლის წინათ რეჟისორ ლევან წულაძესთან ერთად მივედი. დიდხანს ვიარეთ, ვათვალიერეთ მონასტრის სენაკები, ეზო, ბოლოს ბანს მიმსგავსებულ სახურავზე (აქ რომ გავს ეტყვიან) ავედი. აქედან იშლება ამ დიდებული ქალაქის დაუფიქრარი ხედი. შევეურებდი ამწვანებულ იერუსალიმს, იუდეველთა, ქრისტიანთა თუ მუსლიმთა წმინდა ადგილებს, მერე კვლავ რუსთაველის ფრესკასთან დავბრუნდი. აქ დგომისას უხერხულობის გრძობა დამეუფლა. უსიამოდ ვიგრძენი თავი და აი, რატომ: ლევანდის მიხედვით, შოთა რუსთაველი აქ აღესრულა, აქვეა დასაფლავებული. ეს ყოველმა ქართველმა იცის. ამიტომ ეს ტაძარი ყოველი ქართველისათვის წმიდაა წმიდაა. მრავალი ქართველი მოსულა ამ ტაძარში, მოსულა, რუსთაველის ფრესკასთან სურათი გადაუღია და... თითქმის ვალმოხდილი გასულა აქედან, ეს ცუდი როდია, კარგია, მაგრამ... მთავარი?

აქ ჯერ არ მოსულან ქართველი პოეტები, მწერლები – რატომ არ უნდა ეახლონ თავიანთ სულიერ წინაპარს, სწორედ პოეტებმა, მწერლებმა რატომ არ უნდა ჩასძახონ სულმნათს:

– საქართველო ცოცხალია. ქართული სიტყვა კვლავაც უღერს, ქართულ ლექსს კითხულობს ყრმა თუ ქალწული!

უხერხულად სწორედ იმის გამო ვიგრძენი თავი, რომ ეს აზრი აქამდე არ მომსვლია. ჩემი განცდა ლევან წულაძეს გაეუზიარე, ისე შემომცქეროდა, მიხედავდი: ჩვენ ვაღდებული ვართ ვეახლოთ დიდ სულმნათს.

საქართველო ღვთის ნებით შეიქმნა, მან ისურვა ასეთი ქვეყნის, ხალხის გაჩენა, რუსთაველმა კი ქართული სული დახვეწა, ქართული პოეტური აზროვნების სიდიადით ქვეყნიერება მოხიბლა.

დიდხანს ვფიქრობდი, როგორ უნდა ასრულებულიყო ის, რაც ასე მნიშვნელოვნად მივიჩნიე, ერთი საზოგადო თაყვრილობის შემდეგ გამართულ ტრაპეზზე მე და მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა ჩემი ოცნება ქ. თბილისის მერიის ერთ ამგდარსა და ხანთელეით კაცს – მამუკა ქაცარავას გადავცანი. მერე ქალაქის მერს – გიგი უგულავას და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: თუ ეროვნული სულისკვთების, ხალხის ინტერესების მსახურად თავმინეულ კაცს ელაპარაკები, ბევრი საუბარი არც არის საჭირო – ორიოდ წინადადების მერე ყველაფერი გასაგებია. ასე იყო ამჯერადაც – ბ-ნი გიგი უგულავა იდეის შეუნელებელი მხარდამჭერი შეიქმნა, ბ-ნი მამუკა ქაცარავა ხორცშემსხმელი, ხოლო ბ-ნი შოთა მადლაკელიძე – მერიის კულტურის მესვეური, პროექტის, ლამის, კატალიზატორი. ამან გავვიოლა ისრაელში ჩინებული მხარდამჭერების: იუდეისა და სამარიის უნივერსიტეტის პროფესორების – ორციონ ბართანასა და რუბენ ენოსის (ენუქაშვილი) პოვნა.

ორციონ ბართანა ინტელექტუალური ისრაელის ჩინებული წარმომადგენელია – პოეტი, პროზაიკოსი, კარგა ხანს გახლდათ ისრაელის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პენკლების ისრაელის განყოფილების პრეზიდენტი. ერთობ საგულდისხმო ფაქტიც: ორციონი თელ-ავივში იმ ქუჩაზე ცხოვრობს, რომელიც მამამისის – გამოჩენილი ისრაელელი მოღვაწის – სახელს ატარებს, საქართველოში ორციონის სამი წიგნი გამოიცა, მე წილად მხედა

ერთ-ერთი წიგნის – მოთხრობების კრებულის წინასიტყვაობა დამეწერა.

ხოლო რუბენ ენოსი-ენუქაშვილი საქართველოში კარგად ცნობილი პიროვნებაა – ბევრს ჯერ კიდევ ახსოვს მისი სატელევიზიო ლექციები ქართულ ენაზე, დღეს იგი სხენებული უნივერსიტეტის პროფესორია – სწავლული, რომელიც ამას წინათ პრემიერმა ნეთანიაჟუმ ისრაელის ღირსეულ მეცნიერთა სიაში შეიყვანა. რუბენ ენოსი ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ სასახელო საქმეს ჩაუდგა სათავეში: ორციონ ბართანამ გალაკტიონის ლექსები ებრაულ ენაზე სწორედ მისი პწკარედის მეხსებით თარგმნა, მე კი ბედნიერად ვრაცხ თავს იმის გამო, რომ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ახლადარჩეული თანათამაჯდომარე, ამ დიდებულ საქმეს რომ შევეწვიე.

და აი, დღეს ჩემი ნანატრი ოცნება ხორცს ისხამს: ქ. თბილისის მერიის თანადგომით ქართველი მწერლები – რუსთაველის პრემიის ლაურეატები – იერუსალიმში გენიალური რუსთაველის საფლავთან მუხლს მოიყრიან, თავიანთ სულიერ წინაპარს თავყვანს სცემენ. ასე მგონია, ამით შეიკვრება წრე – აღსდგება დროთა კავშირი.

წინამდებარე წიგნიც ამ პროექტის ნაყოფია – ქართველი და ისრაელელი პოეტების ლექსები ისრაელში ებრაულ ენაზე ვითარგმნიეთ, საქართველოში – ქართულ ენაზე. საქართველოში ბევრი ისეთი პოეტი ვიცი, რუსთაველის საფლავთან მისვლის და თავყვანისცემის პატივს რომ იმსახურებს, მაგრამ ერთი დაკვრით ყველაფერი არ გაკეთდება – 2011 წლის პოეზიის დღეებს ჩვენ ისრაელში – შოთას საფლავთან ვატარებთ. მჯერა, ამ პირველ ნაბიჯს სხვა ნაბიჯებიც მოჰყვება. მომავალი წლების პოეზიის დღეებს სხვები აღნიშნავენ იქ – რუსთაველის საფლავთან. ამით გენიალური რუსთაველი კიდევ უფრო დაუახლოვდება თანამედროვე ქართულ რეალობას.

იმედი მაქვს, მკითხველი არ დამძრახავს. თუ საძრახის საქმეს ვიქმ, მზად ვარ ახლავე მოვიხადო ბოდიში: მინდა ამ პოეტური კრებულის ეს მცირე შესავალი წერილი ჩემი პიესის – „ვალი“ – მთავარი მოქმედი პირის – დათიკო მეგრელიშვილის მიერ ჯვრის მონასტერთან წარმოთქმული მონოლოგის ამონარიდით დავამთავრო. იგი ასე მიმართავს რუსთაველს:

დათიკო. „რამ მომიყვანა მე, ებრაელი, დათიკო მეგრელიშვილი, შენთან, ქრისტიანულ მონასტერთან? მე არც ჯვარი მწამს თქვენი და არც – რჯული. რჯულიც ჩემი მაქვს და მცნებანიც... ნურც აწი მომიშალოს ღმერთმა; მაგრამ, კიდევ ერთი რჯული ყოფილა ქვეყანაზე – სიყვარულის რჯული. ევ სიყვარული შენმა ხალხმაც იცის და ჩემმაც... მოვედი, მაგრამ ეზოშიც არ შემოვალ მანამ, სანამ ტყვეობიდან არ დაგიხსნიო, მანამ, სანამ შენ არ გახლები ჩვენი, არ გახლები ქართველობის, ჩვენი სოფელივით კეთილი და ღამაზო, შენა! ეს რა კარგი აუშენებიახარ იმ ცხოვრებულებს იმათ...“

ასე შორს რამ წამოვიყვანა, შე დიდო ადამიანო... ეს დღეც იცოდი?! იცოდი, რომ არც აქ დაიკარგებოდი? შენმა საფლავმა გაგვაერთიანოს კიდევ უფრო, შენმა სულმა შეგვაერთოს.“

ეს დღე, მართლაც დადგა – რუსთაველის საფლავთან ქართული სიტყვის მსახურნი მიდიან – შთამომავლობამ სისხლისმიერ წინაპარს მიაკითხა. დღეს მათ გვერდით დგანან ისრაელელი პოეტები, მჯერა, ამ საფლავის სიდიადეს ისინიც მიაგებენ პატივს.

დაე, დიდი რუსთაველის საფლავის შუქმა გააერთიანოს და ბედნიერპყოს ამერ-იმერი საქართველო!

მჯერა ასე იქნება!

ბურამ ბათიაშვილი



წინასიტყვაობა

დაახლოებით ერთი წლის წინათ, საქართველოში ჩვენი ერთ-ერთი ვიზიტისას გურამ ბათიაშვილმა, თბილისში მცხოვრებმა ცნობილმა ებრაელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, შემოგვთავაზა, მოგვეწყო შეხვედრა ისრაელისა და ქართული კულტურებისა, ისრაელის ებრაელობასა და ქართულ ქრისტიანობას შორის, ერთგვარი ორენოვანი პოეზიის ზეიმი ორი კულტურისა, ერთის – უძველესისა და მეორის ასევე ძველისა, ეს იქნება ნამდვილი ზეიმი პოეზიისა. პოეზია ორ კულტურას შორის და პოეზიის ზეიმთან ერთად, როგორც მისი ნაწილი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა ორი კულტურის ირგვლივ პოეზიისა და პოეტის მოვალეობის განხილვის ფონზე თანამედროვე ეპოქაში – ოცდამეერთე საუკუნის დასაბამს.

ყოველივე ეს მიქმდებოდა საქართველოს ეროვნულ პოეტს, შოთა რუსთაველს („ვეფხისტყაოსანი“), რომელმაც, ლევანდის თანახმად, იერუსალიმში გაატარა თავისი ცხოვრების ბოლო წლები და აქვე, ჯვრის მონასტერშია დაკრძალული. გაჩნდა აგრეთვე აზრი, რომ ამ ტრადიციისათვის საფუძვლის ჩასაყრელად არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ შეხვედრით, ლექსების კითხვითა და პოეტთა შორის დიალოგით, შევთანხმდით თავყრილობის წინ გამოიცეს ქართული პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ორენოვანი კრებული ქართველი და ისრაელელი პოეტების ლექსებისა, ძირითადად იმათი, ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ შეხვედრაში. იდეა გურამ ბათიაშვილმა წამოაყენა, ჩვენ კი ავითა-

ცვთ იგი. მივმართეთ არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის ხელმძღვანელობას, სადაც ჩვენ ვასწავლით და ვიკვლევთ ებრაულ მემკვიდრეობას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისაგან მხარდაჭერის პირობა და კურთხევა მივიღეთ. ასე დაიწყო პროექტის განხორციელების ეს გრძელი და საკმაოდ რთული პროცესი, რომლის პირველი შედეგიც ახლა თქვენს ხელთაა.

გადაწყდა, რომ კრებულში შევიდოდა, ერთიმეორის გვერდი-გვერდ დაიბეჭდებოდა, ქართველ და ისრაელელ პოეტთა თვრამეტ-თვრამეტი ივრითული და ქართული ლექსი, ყოველი ლექსი ითარგმნებოდა მეორე ენაზე და ორივე ტექსტი შევიდოდა კრებულში.

ქართველი პოეტების ლექსები ჩვენ მიერ არის თარგმნილი – პირველადი თარგმანი რეუვენ ენოხისა, პოეტური თარგმანი კი – ორციონ ბართანასი. მართებულად ჩავთვალეთ, რომ ისევე მივბრუნებოდით ახალი ეპოქის უმნიშვნელოვანეს ქართველ პოეტს, მეოცე საუკუნეში მოღვაწე ვალაკტიონ ტაბიძეს, რომლის ოცდაათი ლექსიც ჩვენ რამდენიმე წლის წინათ ვთარგმნეთ და გამოიცა ცალკე კრებულის სახით, ორიგინალი და თარგმანი ერთმანეთის გვერდით. ამჯერად დამატებით ვთარგმნეთ ვალაკტიონის ხუთი ლექსი, რომლებიც აქ არის წარმოდგენილი. კრებულში შესულია აგრეთვე რუსთაველის პრემიის ლაურეატის ლია სტურუას სამი ლექსი, რომლებიც ჩვენ ამ ათიოდე წლის წინათ ვთარგმნეთ, გამოვაქვეყნეთ ისრაელის წამყვან ლიტერატურულ ჟურნალ „მოზნაიმში“ და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. დანარჩენი ათი ლექსი შექმნილია ცნობილი ქართველი პოეტების მიერ, რომლებიც ასევე საქართველოს უპირველესი ლიტერატურული პრემიის – რუსთაველის პრემიის – ლაურეატები არიან; რუსთაველისა, რომლის სახელსაც ატარებს ეს შეკრება.

ისრაელელი პოეტებისგან ქართველი მკითხველი იცნობს იოავ ხაიკისა და ორციონ ბართანას ლექსებს, რომლებიც პირველად ათიოდე წლის წინათ თარგმნა რეუვენ ენოხმა და გამოქვეყნდა ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებში. სხვა ისრაელი პოეტების ლექსები თარგმნილია ცნობილი ქართველი პოეტების მიერ და აქ პირველად არის წარმოდგენილი ქართულ ენაზე.

დიდი ხანია ისრაელსა და საქართველოს ახლო, მეგობრული ურთიერთობა აქვს მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისრაელში ქართული კულტურა ნაკლებად

არის ცნობილი, არც ის დეაწლია გაცნობიერებული, რომელიც ამ კულტურის წინაშე ებრაელობას მიუძღვის. ასე, მაგალითად, არ არის საკმარისად ცნობილი ბიბლიის უძველესი თარგმანები ქართულ ენაზე – ქრისტიანულიც და ებრაელებისთვისაც (ხეპირად). სათანადოდ არ არის გახმაურებული შესანიშნავი ხელნაწერი „ლაილაშის ბიბლია“, რომელიც საქართველოშია დაცული და, ქართველი და ფრანგი სპეციალისტების აზრით, მეათე საუკუნეშია შექმნილი (აღნიშნავენ, რომ იგი თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ცნობილ „ალეპოს კოდექსს“). ცალკეული შემთხვევითი თარგმანების გარდა, ისრაელში არ არის ცნობილი მდიდარი ქართული პოეზია და მრავალფეროვანი ქართული პროზა. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ქართული ქმნილება, რომელმაც საოცარი მოწონება დაიმსახურა ისრაელში, იყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, საქვეყნოდ სახელგანთქმული ეპოსი, რომელიც თარგმნა ბორის გაპონოვმა. ბორის გაპონოვს ამ დიდებული თარგმანისათვის ჩერნიახოვსკის სახელობის პრემიაც მიენიჭა.

სწორედ ამ პოეტის სახელს ეძღვნება ორენოვანი პოეტური დღესასწაული, რომლის პირველი ნაყოფიც წინამდებარე კრებულია. სიმბოლურია, რომ სახეიშო დღეების ერთ-ერთი შეკრება გაიმართება იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ლეგენდისმიერ საფლავთან, პოეტისა, რომელიც უკვე მეთორმეტე საუკუნეში ქადაგებდა ჰუმანიზმის საკაცობრიო პრინციპებს.

ეს ხდება იერუსალიმში, იმ ხალხის დედაქალაქში, რომელმაც შექმნა ათი მცნება, ეს ხდება თორის, მცნებათა მიღების დღესასწაულის კვირადაც.

წინ კი კიდევ დიდი გზაა. ჩვენ წინაშეა მთელი სამყარო. ჩვენ – პოეტები ვწერთ სამყაროზე, ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს განცდებს და იმედი გვაქვს, რომ სხვებაც შემოგვიერთდებიან. ვიმედოვნებთ, რომ ამ პირველ პოეტურ დღესასწაულს კიდევ ბევრი მოჰყვება: მრავალი შეხვედრა, მრავალი თარგმნილი ქმნილება და კარგი იდეები, რათა ჩვენი სინამდვილე უკეთესი და უფრო მშვენიერი გახადდეს. ვიფიქროთ და ვწეროთ ცხოვრებასა და უკეთეს საერთო მომავალზე. ერთმანეთს წარვეუდგინოთ ჩვენი ქმნილებანი, ყველამ ერთად კი ჩვენს მკითხველს.

ორციონ ბართანა
რეუვენ ენოხი (ენშაჰავილი)



შ. რუსთაველის ფრესკასთან

აჰა, იერუსალიმში შ. რუსთაველის დღეები – ქართული პოეზიის კვირეული, ხან ამ, ხანაც — იმ მიზეზით ორჯერ გადადებული, ხვალ იწყება. ქ. თბილისის მერიამ, თავად ბ-ნი გიგი უფულავამ და მამუკა ქაცარავამ გადაწყვეტილი როლი ითამაშეს მწერალთა კავშირის მიერ ასე გაზიარებული ჩემი იდეის ხორცშესხმაში. დიდი ხანი მენადა ქართველ მწერალთა ჯგუფი მისულიყო იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში. ლეგენდის მიხედვით ხომ შოთა რუსთაველი აქ არის დასაფლავებული, მისულიყო და სულმნათისთვის ჩაეძახა „ქართული სიტყვა ცოცხალია, ქართულ ენაზე ლექსი კვლავაც იწერება, იკითხება, საქართველო ცოცხალია“.

მრავალი ღირსეული პოეტი დღევანდელ საქართველოში, იმაზე უფრო მეტი, ვიდრე მავანს ჰგონია, მაგრამ შოთას საფლავთან მისვლისა და ლექსის თქმის უფლება, ცხადია, რაღაცით გამორჩეულობას, განსაკუთრებულობას გულისხმობს. ამიტომ ითქვა: ეს უფლება შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატებს მიეცეთ. ანგარიშგასანევი წინადადება გახლდათ, მაგრამ სამწუხაროდ, რუსთაველის პრემიის ლაურეატთაგან ბევრი იმდენად ხანდაზმულია, იმდენად უჭირთ გადაფრენ-გადმოფრენა, რომ ამ ერთობ საპატიო და სასიამოვნო მისიაზე ზოგიერთმა სწორედ ფიზიკური უძლურების გამო, უარი თქვა. წარმოდგენილი მაქვს, როდენ რთული იქნებოდა მათთვის ასეთი გადაწყვეტილება. ზოგმა კი პირადი პოზიციის გამო თქვა უარი დელეგაციის წევრობაზე, თორემ დელეგაციაში რუსთაველის ორდენის მატარებელი მეტი უნდა ყოფილიყო.

დელეგაციაში შედიოდნენ: ჯანსუღ ჩარკვიანი, ბესიკ ხარანაული, თამაზ კვაჭანტირაძე, მაყვალა გონაშვილი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომელიც რუსთაველის ეპოქის სპეციალისტი გახლავთ, ნ. ბარათაშვილის პრემიის ლაურეატი ახალგაზრდა პოეტები: ჰენრი დოლიძე, როინ აბუსელიძე, ქ. თბილისის მერიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი შოთა მაღლაკელიძე, მთავარი სპეციალისტი ნანა გიორგაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

გამგზავრების წინა დღეს, როცა ლია სტურუასა და ბესიკ ხარანაულის გამგზავრების საკითხი ამათი ავადმყოფობის გამო, ერთობ სათუო გახდა, მაყვალა გონაშვილს იმდენი ჯაფა დაატყდა თავს, აუგად მოვიხსენიე თავმჯდომარეობის ყოველი მოსურნე.

ასე იყო თუ ისე, დელეგაცია გზას გაუდგა. ისრაელის მიწას ფეხი დავადგით თუ არა, იქვე ცხადი გახდა, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ახვლედიანი სიტყვის კაცია. მას გამგზავრებაზე ათიოდე დღით ადრე თბილისში შევხვდით, რამდენიმე დახმარება ვთხოვეთ და პირობის შემსრულებლობა აეროპორტშივე გახდა ცხადი.

იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში პოეზიის ნანატრი საღამოს გასამართად წინასწარვე, ერთი კვირის წინ, ისრაელში ყოფნისას ვიზრუნე, მაგრამ იმის გამო, რომ ჯვრის მონასტრის დღევანდელი ბერძენი გამგებლები ერთობ ნერვიულად ეკიდებიან ქართველთა ამ მონასტერში გამოჩენას, ყოველგვარი მოულოდნელობა გახლდათ მოსალოდნელი. მამუკა ახვლედიანი ამ გარემოებებს კარგად იცნობს. ამიტომ წინასწარვე მიუღია ზომები: ბერძნული ეკლესიის იერუსალიმის პატრიარქისათვის შეუთვლია ქართველ მწერლებს თქვენთან შეხვედრა სწადიათო.

პატრიარქმა თეოფილოსმა დელეგაცია პატივით მიიღო. საინტერესოდ ისაუბრა იერუსალიმში, მის ღირსებებზე ქრისტიანული სამყაროსათვის. როინ მეტრეველის გა-

მოსვლას კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებდი, მან დიდი დიპლომატიური ალღოთი ისაუბრა ქართული ეკლესიისა და იერუსალიმის საპატრიარქოს ურთიერთობაზე. ერთმა გარემოებამ მიიქცია ყურადღება: როცა როინ მეტრეველმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე იერუსალიმის პატრიარქს ყოველ ლოცვაში მოიხსენიებს ხოლმე, იერუსალიმის პატრიარქმა ეს ინფორმაცია მნიშვნელოვნად ჩათვალა. ასეთივე გააზრებული გახლდათ ჯანსუღ ჩარკვიანის გამოსვლა, იგი უფრო პოეტის ლოცვას ჰგავდა, ვიდრე გამოსვლას.

პატრიარქმა სტუმრებს საჩუქრები მიართვა. როცა დამშვიდობების ცერემონიალი დაიწყო, მ. ახვლედიანმა მითხრა, აი, ახლა მოახსენეთ პატრიარქს, ქართველი მწერლების ჩამოსვლის მიზანზე, გამოსთხოვეთ ჯვრის მონასტერში შ. რუსთაველის საღამოს გამართვის ნებართვა.

ასეც მოვიქეცით, ეგ არის, ნებართვა კი არ გამოვთხოვეთ, საქმის კურსში ჩავაყენეთ. — იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში ქართველთა უდიდესი პოეტი და-კრძალული, ჩვენ აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ თავყანი ვცეთ ჩვენს დიდ სულიერ წინაპარს, იმედო მაქვს, ამის გამო მონასტრის მსახურნი არ შეწყუხდებიან.

პატრიარქმა თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა, რის გამოც ამ ერთობ მომზიბლავი სასულიერო მოღვაწის ძლიერ მადლობელი დავრჩით. მეორე დღეს ჯვრის მონასტრის ბერძენ მსახურს—სემიონს, რომელიც კარგად ლაპარაკობს რუსულად, დავურეკე, თავი გავახსენე და ვუთხარი: ხომ გახსოვთ წინა კვირაში რომ მოვილაპარაკეთ, ქართველი პოეტები დღეს მოდიან და... საპატრიარქოდან უკვე დამირეკეს, უკვე ყველაფერი ვიცით.

* * *

ადამიანს ცხოვრებაში მრავალი მნიშვნელოვანი დღე აქვს. 29 მაისი 2011 წლისა ჩემი ცხოვრების დაუფინყარი დღეა. ამ დღეს უნდა განხორციელდებოდა ჩემი ჩანაფიქრი: ქართველ მწერალთა თავყანისცემა დიდი სულიერი წინაპრისადმი. ვუფრთხობდი ყოველ დეტალს, შესაძლებელი იყო უბრალო რამესაც კი ისე შეეშალა ხელი, თავყანისცემის ეს წმინდა რიტუალი ასე ამაღლებული, სათნოების მატარებელი აღარ გამოსულიყო. ჩვენს დროში დასაძლვეი მხოლოდ ის ობიექტური, ან სულაც ბიუროკრატიული სირთულე კი არ არის, რომელიც ამა თუ იმ საქმის კეთებისას გელოდება წინ, ისიც რომ ვილაყას ბრტყელ-ბრტყელი საუბარი სჩვევია და საქმის კეთება არ უყვარს, არც ის მოსწონს, სხვა რომ აკეთებს საქმეს. ჩვენ ვიცით ეს სიმღერა. ათასგზის მოგვისმენია „უჩემოდ ვინ იმღერეთა“.

დღე იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში შეხვედრით დაიწყო, ეს არის მთელს ახლო აღმოსავლეთში კარგად ცნობილი უნივერსიტეტი, რომელსაც მთელი მსოფლიოს ებრაელობა აფინანსებს. უნივერსიტეტში ასწავლის საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ჩინებული მეცნიერი, პროფესორი კოტე ლერნერი. აქ მას სწორედ ქართველოლოგიური დისციპლინები იმწყავდა და რამდენიმე თვის წინათ სწორედ მას ვთხოვეთ დახმარება.

ბატონი კოტე მეუღლესთან — ლარა მეგრელიშვილთან ერთად ამ ინიციატივის დიდი ქომაგი გახდა. ისინი ერთად აგვარებდნენ ყველა საკითხს, იქნებოდა ეს ამ საქვეყნოდ ცნობილი უნივერსიტეტის პრეზიდენტთან, დეკანთან მოლაპარაკება, თუ ტექნიკური საკითხები. აქ უნივერსიტეტის, ამ გრანდიოზული სასწავლო ცენტრის კორპუსების დათვალიერების შემდეგ გვესაუბრებიან უნივერსიტეტის ისტორიაზე, იმ მსოფლიო მნიშვნელობის სწავლებლებზე, რომლებიც ამ უნივერსიტეტში აღიზარდნენ (ამ უნივერსიტეტის საპატრიარქო რექტორი ალბერტ ეინშტეინი გახლდათ) და დღესაც ასწავლიან ახალგაზრდობას: იურისპრუდენცია, მედიცინა. ფსიქოლოგია, ეკონომიკა, ისტორია, იუდაიზმი, სიონიზმი, მსოფლიოს ებრაული თემები, აი, ნრე საგნებისა, რომლებსაც ამ უნივერსიტეტში სწავლობენ და ასწავლიან.

თავის მუშაობაზე გვესაუბრება ბატონი კოტე ლერნერი.

თბილისის მერიამ იცის პატივის მიცემა იმათთვის, ვინც ამას იმსახურებს. აქ, იერუსალიმის უნივერსიტეტში გაიმართა მედლებისა და სიგელების გადაცემის ცერემონია. ეს საქმე ბატონებმა ისრაელში საქართველოს სრულყოფილებიანმა და საგანგებო ელჩმა ვახტანგ ჯაოშვილმა და შოთა მაღლაკელიძემ იდეს თავს: მედლითა და სიგელით „ქართული კულტურის მეგობარი“ დაჯილდოვდა იერუსალიმის უნივერსიტეტის პრეზიდენტი მენაჰემ ბენ სასონი. აქვე, უნივერსიტეტში გახლდათ მონაწილე ისრაელის ხელოვნების ფესტივალის გენერალური დირექტორი იოსი ტალ-განი. ბ-ნი იოსი ტალ-განი მეგობრობს ქართულ თეატრთან, ჩამოდის აქ, ნახულობს, თუ როგორ მუშაობენ ქართველი რეჟისორები. ამას წინათ მან წარმატებით დაასრულა ერთწლიანი მოლაპარაკება — თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გახდა საერთაშორისო ფესტივალის ასოციაციის წევრი. ისრაელის ფესტივალის გენერალური დირექტორი იოსი ტალ-განი დაჯილდოვდა „ქართული კულტურის მეგობრის“ მედლითა და დიპლომით.

მაგრამ საქართველოს განა მხოლოდ მეგობრები, ისეთი გულშემმატიკივარნიც ჰყავს, რომლებიც თავიანთ ძირითად საქმიანობასთან ერთად ცდილობენ ისრაელს გააცნონ ქართული კულტურის, მეცნიერების მიღწევები. ასეთი მოღვაწეობა ფრად ს-პატიო, ერთა შორის კეთილმეგობრული ურთიერთობის განვითარების გარანტიაა, მით უმეტეს, დღეს, როცა პოლიტიკურ მოღვაწეთა თუნდაც უბრალო წინდაუხედავმა

საქციელმა, ჟესტმა, შესაძლოა, ნეგატიურ მოვლენებს დაუდოს სათავე. ამ კეთილშობილურ იდეას ისრაელში მრავალი ქართველი ებრაელი მსახურებს. ისინი გულწრფელად ელტვიან, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის იყოს ჯანსაღი, მეგობრული ურთიერთობა.

თბილისის მერიამ გაითვალისწინა იმ ადამიანთა როლი, სახელმწიფოთა, კულტურათა ურთიერთობის განვითარებაში, რომლებიც იერუსალიმში შ. რუსთაველის დღეების – ქართული პოეზიის კვირეულის ჩატარებაში მონაწილეობდნენ და პროფესორი კოტე ლერნერი და რადიო „კოლ ისრაელის“ („ისრაელის ხმა“) ქართულ გადაცემათა დიქტორი მერი ამშიკაშვილი დააჯილდოვა მედლით და დიპლომით „ქართული კულტურის დესპანი“.

აქ გაიმართა საინტერესო საუბარი საქართველოსა და ისრაელს შორის სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობაზე, წარსულზე, მომავალზე. კონსტრუქციული საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა: ჯ. ჩარკვიანი, თ. კვაჭანტირაძე, რ. მეტრეველი, ისრაელის ყოფილმა ელჩმა საქართველოში ბარუხ ბენ ნერია ბირენბაუმმა, საქართველოს ელჩმა ისრაელში ვახტანგ ჯაოშვილმა.

მზე რომ გადაიხარა, ჩვენი სულიერების ცენტრისაკენ გავემუროთ – ჯვრის ქართულ მონასტერს ჩამავალი მზის სხივები აბრწყინებდა.

აჰა, ისრაელელი სწავლულები და პოეტებიც აქ არიან სწორედ ასე მენადა: შ. რუსთაველი მხოლოდ ჩვენითვის, ქართული სიტყვის, მეცნიერული აზრის მსახურთათვის კი არ იყოს ის, რაც არის, არამედ უცხოთათვისაც გაცნობიერდეს მისი სიდიადე. დღეს ისინი ჩვენს გვერდით არიან, აქ მოვიდნენ, რათა თავყვანი სცენ ქართული პოეზიის გენიას – შოთა რუსთაველს. სწორედ ეს მენადა.

სწორედ ის მინდოდა, რომ ქართველ და ისრაელელ პოეტებს ერთად მიეგოთ პატივი დიდი მგოსნისათვის და თუ მათთვის ამ ეტაპზე რუსთაველის სიდიადე მიუწვდომელი იქნება, ამ პოეტური აქციით ის მაინც გაცხადდება, რაოდენ ძვირფას, სახუკვარ საფლავს ვიგულავთ ჩვენ იერუსალიმის კურთხეულ მიწაში.

რაოდენ რთული დასაძლევია არ უნდა იყოს შინაგანი მღელვარება იმის გამო, რომ საუბარი გვიწვევს სულმნათის ფრესკასთან (ბესიკ ხარანაული იმდენად ღელავდა, განიცდიდა ამ წუთებს, ორიოდ სიტყვა, ლექსიც ვერ თქვა და მე სავსებით მესმის მისი), მე ვსაუბრობ იმაზე, თუ რისთვის მოვედით ჩვენ რუსთაველის ლეგენდისმიერ საფლავთან, რამ მოგვიყვანა, რამ გამოგვატარა ათასობით კილომეტრი თბილისიდან რუსთაველის საფლავამდე, შემდეგ მაყვალა გონაშვილი უძღვება ამ პოეტურ ასპარეზობას. ლაპარაკობენ მამუკა ახვლედიანი, როინ მეტრეველი, ვახტანგ ჯაოშვილი. თამაზ კვაჭანტირაძე ამბობს, რომ მას არ შეუძლია რუსთაველის საფლავთან საუბარი და ამბობს ერთობ შთაბეჭდავ „სიტყვას“.

„ჩემი დუმილი მიითვალე შენდამი ლოცვად“. ლექსებს კითხულობენ ქართველი პოეტები, შ. რუსთაველის ფრესკასთან ჟღერს ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ხმა. ხენ კლაიმანი კითხულობს ლექსს ებრაულ ენაზე, მის ქართულ თარგმანს ჯანსუღ ჩარკვიანი, იოვ ხაიკის ხმას უერთდება მისი ქართულ ენაზე მთარგმნელის – მაყვალა გონაშვილის ხმა. ჯერ ჯანსუღ ჩარკვიანი კითხულობს თავის ლექსს „თოვლი“ მერე ამ ლექსის ებრაულ თარგმანს ორციონ ბართანა.

ისრაელში ცნობილი არქიტექტორი კასუტო ამბობს, რომ მსოფლიოში მიმოფანტულ ქართულ-სომხურ მონასტრებს შორის, ჯვრის მონასტერი ყველაზე დასავლეთით მდებარე მონასტერია, ჯერ კიდევ სტუდენტობისას ავზომო ეს მონასტერი (წარმოადგინა კიდევ — საუბრისას ხელში ეჭირა მონასტრის გეგმა-ნახაზი) ვნახეო ქართული ფრესკებიც, აქ ზოგიერთი ფრესკა მეშვიდე საუკუნისადაც კი არისო, მართალია, ხანძარს ბევრი რამ ემსხვერპლა, მაგრამ შემორჩენილი ფოტოების მიხედვით, ბევრი რამის აღდგენა შეიძლებაო.

პოეტური მისტერია გრძელდება. გალაკტიონს ებრაულ ენაზე კითხულობს ორციონ ბართანა. ტარიელ ჭანტურისა და ფრიდონ ხალვაშს კითხულობენ რუბენ ენოხი და იონადაე კაფლუნი, შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ნიმუშს კითხულობს ჯემალ აჯაიშვილი.

რუსთაველის შთამომავალნი თავიანთ დროზე, სამშობლოზე, სიყვარულზე დანერვილ ლექსებს „უკითხავენ“ რუსთაველს.

და ბოლოს, მთავარი: რუსთაველმა „მოსმინა“ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები. ჯერ ქართულ, მერე ებრაულ ენაზე. თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრის ყოფილმა მსახიობმა — ნანა ბერაძემ ჩინებულად წაიკითხა თინათინის წერილი, მანვე მოამზადა ისრაელელები: ნონა ჩიკო და ნათია ჩუტლაშვილი. ესენი ივრითზე კითხულობენ ტარიელისა და ნესტანის ამბავს.

ჯვრის ქართულ მონასტერში ჟღერს „ვეფხისტყაოსანი“, თანამედროვე ქართველ პოეტთა ლექსები ქართულ, ებრაულ ენებზე და გვეუფლება სიხარულის განცდა. მაგრამ ეს დღე სხვა თვალსაზრისითაც იყო მნიშვნელოვანი:

ჯვრის მონასტერში ნერვიულად ეკიდებიან ქართველთა სტუმრობას ამ მონასტერში. არ სიამოვნებთ, არ უნდათ. ეს ხშირად გამოუხატავთ, ზოგჯერ ერთობ აქტიურადაც. დღეს კი აქ უამრავ ქართველ, ისრაელელ პოეტს მოუყვია თავი და ქართველთა მიერ ინიცირებული პოეტური მუშაობა გრძელდება.

გაგვიგრძელდა, მაგრამ პოეტის სიტყვა, ლექსი რატომ, რისთვის უნდა შეკვეციო? არა, არ ვკვეცავთ. სიტყვა თავისუფალია. გარდა ამისა, ჩვენ აქ განა მლოცველთა სახით, განა უცხოელ ტურისტებმად მოვედით. ჩვენ აქ მოვედით, როგორც ქართველი მწერლები, მოვედით ჩვენს სულიერ წინაპართან და იერუსალიმის პატრიარქის დასტურით.

ეს რას ნიშნავს? იურისტებს უკეთ მოეხსენებათ, ისინი უკეთ ახსნიან, თუ რა მნიშვნელობა აქვს იერუსალიმის პატრიარქის დასტურით აქ ქართველ მწერალთა თავიანთი სულიერი წინაპრის საფლავზე მოსვლას. მე კი ეს დღე ასე აღვიქვი: მოხდა ლეგიტიმაცია იმისა, რომ ჩვენ, ქართველი მწერლები მოვედით სულიერი წინაპრის საფლავთან ქართულ მონასტერში.

მაგონდება ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“: მიწის იაზონს ოქროს ვერძის მოსატაცებლად კი გზავნის, თუმცა, მისი ფარული ზრახვაა იაზონი საქართველოში მოჰკლან: თუ ქართულ მიწაზე ბერძენი კაცის საფლავი იქნება, ეს მისთვის რაღაცას ნიშნავს.

ბერძენთა მხრიდან მოხდა იმის აღიარება, რომ ჯვრის ქართულ მონასტერში გენიალური ქართველი პოეტი ასვენია.

და როცა მზე ჩავიდა, იერუსალიმურმა ცივმა ნიავმაც დაუბერა, ზემოთ ხსენებულ მერი ამშიკაშვილის, რომელიც ამავედროულად იერუსალიმის მერიის ქართველ ებრაელთა თემის კოორდინატორიც გახლავთ, და ჩვენი მეგობრის — მერაბ ფიჩხაძის ინიციატივით, იერუსალიმის ახლადგახსნილ ქართულ რესტორანში, რომელსაც უკვე „ძია კარლოს კერია“ უწოდეს, ჩინებული პურობა გაიმართა.

იყო რუსთაველის, „ვეფხისტყაოსნის“ ხსენება, გულთბილი სიტყვები, ლექსების კითხვა, იცხაკ დავიდი და რუბენ ენოხი, როინ მეტრეველი და ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ კვაჭანტირაძე და შოთა მალაქელიძე, ჰენრი დოლოძე და ბესიკ ხარანაული, ჯემალ აჯაიშვილი და მაყვალა გონაშვილი, ნანა გიორგაძე და ზვიგ ფელდმანი, საუბრობდნენ საქართველოზე, ისრაელზე, რუსთაველზე, პოეზიაზე, ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობაზე.

შემდეგ იერუსალიმის ქუჩებში ხეტიალი... გრილი იერუსალიმური ნიავი.

დღევანდელ ისრაელში ასე ათასზე მეტი ქართველი ებრაელი ცხოვრობს. უფროსი თუ საშუალო თაობის ბევრი ადამიანი ქართულ ენაზე წერს ლექსებს, პროზას. უყვართ ქართული მწერლობა, ამბობენ, რომ ქართული მწერლობის ტრადიციებზე გახლავან აღზრდილნი. მერი ამშიკაშვილმა ყველას იერუსალიმში მოუყარა თავი – იმათაც, ვინც ამ დიდებულ ქალაქში ცხოვრობს და იმათაც, ვინც ქვემოთ, ზღვისპირეთში, თელ-ავივის შემოგარენში.

იაფოს ქუჩაზე ერთ მშვენიერ დარბაზში რუბენ ენოხის გაძლიერებით, პოეტური საღამო გაიმართა. აქ სიტყვა, ან ლექსი წარმოთქვა საქართველოდან ჩასულმა ყოველმა სტუმარმა, ამათ მიესალმა იერუსალიმის მუნიციპალიტეტის წევრი პეპე ალალო. დამხ-

ვდურთაგან ლექსები იკითხეს: სიმა ჯანაშვილმა, დავით ხუბელაშვილმა, დავით ბოთერამ, ნუგზარ ჯანაშვილმა, ჯემალ აჯაიშვილმა, მერი ელიშაქოვმა, ჩესი ლეზვიშვილმა, იზოლდა მოშიაშვილმა, ნანა შაბათაშვილმა, მუსიკალური ნომერები შეასრულა მაია ვერძულმა.

ესენი საქართველოს, აქ გატარებულ წლებს, დღეებს ეალერსებოდნენ – სწერენ ალალი სიყვარულით, პატივისცემით, ცხადია, ღვთივ მომადლებული ნიჭი ყველას ასე უხვი და მრავალფერადი არ იქნება, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი საქართველოსთან, ქართული სიტყვასთან მათი დამოკიდებულებაა.

იერუსალიმიდან ერთი საათის სავალზეა სამარიის ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქი არიელი. ეს ქალაქი ისრაელმა 1967 წელს ექვსდღიანი ომის შედეგად გაათავისუფლა უცხო ტომთაგან, ამის შემდეგ აშენდა, დამშვენდა, აქ დიდი საუნივერსიტეტო ცენტრიც კი გაიხსნა. ამ საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორია რუბენ ენოხი (ენუქაშვილი), რომელიც ამ კვირეულის ესოდენ კარგად ჩატარებაში ჩვენი ღირსეული პარტნიორი იყო.

1 ივნისს დელეგაცია ქ. არიელში მიიწვიეს. აქ მომდევნო დღით გაიმართა მრგვალი მაგიდა, დიალოგი ქართველ და ისრაელელ მწერლებს შორის. მაგრამ ვიდრე ამაზე ვიტყვოდეთ ორიოდ სიტყვას, მკითხველს უნდა ვაცნობოთ, რომ ისევე, როგორც იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში, აქაც გაიმართა დაჯილდოების (ცერემონიალი. ქ. თბილისის მერიის მედლით და სიგელით „ქართული კულტურის მეგობარი“. დაჯილდოვდა საუნივერსიტეტო ცენტრის პრეზიდენტი პროფესორი დან მეიერშტეინი და პროფესორი, პოეტი, პროზაიკოსი, გალაკტიონის მთარგმნელი ებრაულ ენაზე — ორციონ ბართანა, ხოლო მედლითა და დიპლომით „ქართული კულტურის დესპანი“ დაჯილდოვდა ასევე პროფესორი, გალაკტიონის ებრაულ ენაზე მთარგმნელი რუუვენ ენოხი (ენუქაშვილი).

ძალიან გულთბილი სიტყვა თქვა პრეზიდენტმა დან მეიერშტეინმა. მან საქართველოში მოგზაურობაც გაიხსენა და ისაუბრა სამეცნიერო-შემოქმედებით ურთიერთობათა გაღრმავების საკითხებზე. ამ უნივერსიტეტში საქართველოს სამეცნიერო წრებთან, მწერალთა კავშირთან ურთიერთობას ძალიან ოპტიმისტურად უყურებენ. აკადემიკოს როინ მეტრეველის, რუსთაველის ეპოქის მიმოხილვისა და თანამედროვე ეპოქაში მწერლის დანიშნულების რაობაზე საუბრის შემდეგ, გაიმართა საინტერესო საუბარი, სამწერლო ურთიერთობის საკითხებზე. დღეს ყველაზე უფრო საშური საქმე გახლავთ ქართული ლიტერატურის ებრაულ ენაზე თარგმნა. მომავალი მთარგმნელები კი სწორედ იმ ახალგაზრდებს შორის უნდა აღვზარდოთ, რომლებიც ამ დიალოგსაც ინტერესით უსმენდნენ.

დიალოგში მონაწილეობდნენ: ორციონ ბართანა, იოვ ხაიკი და ამირ ორი. უნივერსიტეტის პრეზიდენტი პროფ. დან მეიერშტეინი, უნივერსიტეტის პერსპექტიული დაგეგმარების და სასწავლო პროგრამების შექმნის განყოფილების უფროსი დ-რი ნიცა დავიდოვიჩი, პროფ. მაქს შტერნი, დ-რი ზივა ფელდმანი, დ-რი ელენა რიმონი, დ-რი მიხაელ ბენ-ხაიმი (ხუხაშვილი).

საქართველოსა და ისრაელის შემოქმედებით, სამეცნიერო ორგანიზაციებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს ყოფით დონეზე, საქართველო, ქართველი ხალხი იცნობს ებრაელთა კლასიკურ მემკვიდრეობას, მაგრამ როგორც ჩანს, ეს კიდევ არ არის საკმარისი. ვიდრე ისრაელში არ ითარგმნება დიდებული ქართული პოეზია, არ ითარგმნება ქართული პროზა, ასევე ქართულად არ გამოვა ჩვენი დროის ბრწყინვალე პროზაიკოსების ამოს ოზის, ალფ-ბეთ ომუჟას, მერი მალევისა და სხვათა ქმნილებები, ჩვენ ვერ ჩავენვდებით თანამედროვე ისრაელის არსს და ვიტრიალებთ დავამანულ წრეში.

შოთა რუსთაველის დღეების – ქართული პოეზიის კვირეულის ჩატარებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა. ამისათვის ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ქ. თბილისის მერიას, თავად მერს – ბნ გიგი უგულავას.

ბ. ბ.



საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ვახტანგ ჯაოშვილი



მერი ამშიკაშვილი, მაია ვერძული, რუუვენ ენოხი

საქართველოს ებრაელთა მთავარი რაზინი არიელ ლევინი 50 წლისაა

THE WORLD CONGRESS OF GEORGIAN JEWS (R.A)



הקונגרס העולמי של יהודי גרוזיה (ר"ע)

ბ-ნ არიელ ლევინი საქართველოს მთავარ რაზინს

მკორფასო რაზი, ჩვენ უდიდესი პატივი გვხვდა წილად, მოვილოცეთ თქვენი დაბადებებიდან 50 წლის იუბილე...

თქვენ წილად გხვდით გაძლიერებით სრულიად საქართველოს ებრაელთა თემს და გქვადგათ მათთვის ყოვლად წმინდა ჩვენი თორა და ჩვენი ადათ-წესები...

ვევლანთვის კარგადაა ცნობილი თუ როგორ უდევით და ახლაც უდევთ გვერდით ყოველ იმ ადამიანს, რომელსაც სჭირდება თქვენი სულიერი დახმარება...

გ ფარავდეთ ძალადი ღმერთი ამიერიდან უკუნისამდე, ამინ! ბაბრილ მირილახვილი სემგ-ის პრეზიდენტი



ასე ლეხა რავ - გყავდეს შენი რაზი!

რწმენა სიონიდან გამოვა და უფლის სიტყვა იერუსალიმიდან (ისაია)

საბჭოთა წყობილების დანგრევამ და საქართველოს ახალ - დამოუკიდებლობის გზაზე სვლამ, სრულიად მოულოდნელი ცვლილებების და სიმწვანების წინაშე დააყენა საქართველოში მცხოვრები ხალხი...

ისრაელში და მსოფლიოში არსებულმა ებრაულმა ორგანიზაციებმა დახმარების ხელი გამოუწოდეს აქ დარჩენილ ებრაულ მოსახლეობას...

იმ დროს ახალგაზრდა რაზინი არიელ ლევინი თავის საქმეზე ღრმად შეყვარებულ რწმენით სავსე ადამიანად და ვნახე. ის მთელი არსებით ჩაბმული იყო ებრაულ და რელიგიურ საქმეში...

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ახალი პერიოდი დადგა. მე მნამს, რომ უფრო ნაყოფიერი და სიკეთის მომტანი უნდა იყოს არიელ ლევინის, როგორც გამოცდილი სულიერი მოძღვრის საქმეში საქართველოში არსებული ერთიანი თემის წინსვლის და ებრაული ფესვების გაღრმავებისათვის...

მენახემ ელაზარი

ღრმად პატივცემულ რაზი არიელ!

ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ (სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში) სახელით გილოცავთ 50 წლის იუბილეს. როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს ებრაულ თემთან არის დაკავშირებული...

ამის ერთ-ერთ გამოჩენილ მთავარ მიზეზს იხსენიებთ თქვენს წინადადებაში „თიფერეთ ცვი“. მასში ნასწავლი ახალგაზრდები ისრაელში აგრძელებენ განათლების მიღებას...

ჩვენ ვაფასებთ თქვენს უზარმაზარ ავტორიტეტს, როგორც საქართველოში ასევე ისრაელსა და მთელ ებრაულ სამყაროში.

მინდა გისურვოთ უდიდესი ენერჯია, თქვენი მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის.

აპი ოფირი

ღრმად პატივცემულ რაზი არიელ,

„ჯიონთან“ არსებული ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს - დაბადების 50 წლისთავს.

უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, აგრეთვე უდიდეს წარმატებებს თქვენს სამოღვაწეო ასპარეზზე. ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან თანამშრომლობა ამდენი ხნის განმავლობაში.

საუპირობო სურვილებითა და პატივისცემით, ელენე ბარკოვიჩი

ა მ ა ზ ი

თბილისის ანდრია რაზმაძის სახ. გიმნაზიის დირექტორი გახლდით. 80-იან წლებში თბილისის ერთი ჩვეულებრივი რუსული სკოლა იყო, მოგვიანებით გიმნაზიად გადაკეთდა...

ერთ საღამოს, ჩემთან შემოვიდა ორი მეცხრეკლასელი მოსწავლე, თუ არ მეშლება მარკ ვოსკორონიკი და ვადიმ კრავეცი. ვიცოდი ესენი ებრაელები იყვნენ. სასწავლო დაფა მთხოვეს. ვკითხე სასკოლო დაფა რისთვის გჭირდებათ, ყოველ კლასში დაფა დგას-მეთქი...

თავდახურული ბავშვები ზოგადასაგანმანათლებლო გიმნაზიაში თანდათან შესამჩნევი ხდებოდა. ორიოდე თვის შემდეგ, არიელმა გამოიმცხადა დამოუკიდებელი სკოლა უნდა შეექმნა, სადაც ახალგაზრდებს არა მხოლოდ ივრითს, იუდაიზმს, ტრადიციებს, ებრაული ხალხის ისტორიას და ზოგადასაგანმანათლებლო საგნებს შევასწავლით...

ასეთი დამოუკიდებელი სკოლის გახსნა მაშინ ჯერ კიდევ წარმოუდგენელი იყო, ამას ფინანსებიც დიდძალი სჭირდებოდა, ამიტომ გადაწყვიტეთ, შეგვექმნა გიმნაზიის ფილიალი - ებრაული სკოლა. მით უმეტეს, ამ ეტაპზე არიელ ლევინიმა მოახერხა შენობის შექმნა. გიმნაზიის სტატუსი კი უფლებას მაძლევდა გვესწავლებინა რელიგია, რელიგიის ისტორია და ა. შ.

განათლების სამინისტროში დავსვი საკითხი, რომ გიმნაზიაში გვესწავლებინა რელიგია, მისი ისტორია. ისტორიის მასწავლებლებს ვთხოვე ყურადღება გაემახვილებინათ რელიგიის ისტორიაზეც. ებრაული სკოლისათვის კი შევიმუშავეთ ებრაელთა რელიგიის შესწავლის პროგრამა, მერე კი ამას არიელ ლევინიმა მიაბა ტრადიცია, ებრაული ერის ისტორია და ა. შ.

ამრიგად, შეიქმნა თბილისის ებრაული სკოლა, რომელსაც დღეს „თიფერეთ ცვის“ სახელით ვიცნობთ.

რა ხდებოდა ამ სკოლაში და მის ირგვლივ? ახალგაზრდობა ძალიან დაინტერესდა „არიელის სკოლით“, ბევრი მოვიდა, კარგადაც სწავლობდნენ, მოსწავლეთა 70-80% ქართველი ებრაელობა იყო, აი, სკოლის ირგვლივ რომ არიელმა წრეები შექმნა (ებრაული ენა, ტრადიციები, ისტორია), იქ ძირითადად აშქენაზი ებრაელობა იყრიდა თავს. რატომ ხდებოდა ასე, ამ წრეებს რატომ არ ეტანებოდა ქართველი ებრაელობა?

ქართველ ებრაელობას შენარჩუნებული ჰქონდა ეროვნული იდენტურობა, მას სინაგოგისათვის ზურგი არასოდეს არ უქცევია, აი, აშქენაზმა ებრაელობამ კი იწყო საკუთარი, ეროვნული მეობის გათავისება. თუ ქართველმა ებრაელობამ „თიფერეთ ცვიში“ დაინახა თავისი შვილების, თემის ხვალისდელი დღე, აშქენაზობამ - არიელის წრეებში. საბოლოოდ ორივე თავის საქმეს აკეთებდა.

ამდენად არიელ ლევინი და დიდი, ძალიან დიდი როლი ითამაშა რწმენისაკენ მიბრუნების საქმეში, ახალგაზრდობას უჩვენა სწორი გზა.

მე არ შემიძლია დავივიწყო ის წლები, დავივიწყო ის ამაგი, რომელიც არიელმა დასდო ჯამაათს. ვხედავდი, როგორ უხმაუროდ, ჯიუტად აკეთებდა იგი თავის საქმეს და ვცდილობდი მის გვერდით დავმდგარიყავ.

პროფესორი ლევან იანოშვილი ისრაელი

ნაყოფიერი 50 წელი!

საქართველოს მთავარი რაბინი ბატონი არიელ ლევი-ნი იმ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა გარეშე არ მოიაზრება საქართველოს თანამედროვე ებრაელთა თემის ისტორია. დიდი და დასაფასებელია რაბი არიელის როლი ჩვენი თემის სულიერი ცხოვრების განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

ბატონო არიელ, თქვენ თქვენმა დიდმა საქმემ გამოგაჩინათ. საქმემ, რომლითაც ღირსეულად ხვდებით თქვენს ცხოვრებისეულ, მნიშვნელოვან ნახევარსაუკუნოვან თარიღს. თქვენ, როგორც ღვთის ღირსეული მსახური, სიყრმიდან იხდით ვალს თქვენი ხალხისა და თემის წინაშე, რითაც გვიდასტურებთ, რომ ხალხს სჭირდება თქვენნაირი პიროვნებები. ამიტომაც არის თქვენი ცხოვრებისეული გზა ხალხის მიერ ესოდენ დადებითად შეფასებული.

ეს სიტყვები ხომ თქვენნაირებზეა ნათქვამი – „იქქარე ქმნა სიკეთის!“

ეს თქვენი ცხოვრების დევიზია. ამ დევიზით აიხსნება თქვენი საქმიანობისა და მოღვაწეობის ფართო სპექტრი დიდსა და პატარას რომ იზიდავს თქვენსკენ.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს, ბატონო არიელ, თქვენი დიდი როლი, რომელიც შეასრულეთ 1997 წელს თბილისში „ხესედ ელიაჰუს“ ჩამოყალიბებასა და გახსნაში. ეს ის დროა, როცა საქართველოში დიდი გაჭირვება იდგა. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მთავარი რაბინი, ბატონო არიელ, თქვენ გვერდში ედექით „ხესედის“ ყველა თანამშრომელს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. ყველას გვახსოვს თქვენს მიერ იმ მიმდებარეობის სიტყვები – საქართველოში „ხესედის“ გახსნის დღიდან არც ერთი გაჭირვებული ებრაელი შიმშილით არ დაღუპულა.

ნება მიბოძეთ, თბილისის ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის „ხესედ ელიაჰუს“ მრავალრიცხოვანი კოლექტივის, სამეურვეო პირთა და პირადად ჩემი სახელით მოგილოცოთ 50 წლის იუბილე და გისურვოთ კვლავაც ასეთი შემართებით, რწმენითა და იდეალების ერთგულებით ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ემსახუროთ ჩვენს ხალხს!

რევაზ შათაშვილი „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორი

თევზურას!

რაბი არიელ ლევინი 1993 წლის იანვარში გავიცანი. ყველას გვახსოვს რა უკიდურესად დუხჭირი მდგომარეობა იყო საქართველოში ამ დროს. ყველას მოეთხოვებოდა განსაკუთრებული მიდგომა პრობლემების გადაწყვეტისას, თემის რელიგიურ წინამძღოლს კი — მით უმეტეს! ამ ურთიერთობაში მე დავინახე არიელის ერთგული. ნიჭი, განსაკუთრებული, მშვიდობიანი მიდგომა საკმაოდ მწვავე საკითხების გადწყვეტისას. პარალელურად ამისა, დავინახე ის უდიდესი სამუშაო, რომელიც მის მიერ იქნა გერ განჭვრეტელი, შემდეგ შესრულებული ებრაული ტრადიციების შესანარჩუნებლად. გერ კიდევ 80-იანი წლების დასასრულს დაარსებულ იქნა ებრაული სკოლა, გახანგრძლივებული სასწავლო დღით, საბავშვო ბაღი, შემდეგში კი — იემივა და ქოლიელი. დღეს როდესაც ვუყურებთ საქართველოს ებრაელობას — მამა-პაპათა ადათ-წესების მიმდევართ, ამაში მისი უდიდესი წვლილია. ბავშვთა ქაშერი ბანაკები იმ წლებში, როცა ყველა მხრიდან იყო საშიშროება, ჯგუფური ბარ-მიცვები და ბევრი რამ, რომელიც ინარჩუნებდა ებრაულ ტრადიციებს. მისი შემოქმედება არ იფარგებოდა მარტო თბილისით, „სოხნუთთან“ და „ჯოინთან“ თანამშრომლობით. გაიხსნა სკოლები, ულფანები, წრეები გორში, ქუთაისში, ბათუმში. მოგვიანებით გაიხსნა კომპიუტერული წრეები ათობით კომპიუტერით და ეს მაშინ, როდესაც კომპიუტერი დიდ და პრესტიჟულ ორგანიზაციებშიც იშვიათობა იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაბი არიელი ისრაელის მთავარმა რაბანუმა თავის წარმომადგენლად დანიშნა კავკასიაში ბეთ-დინის საკითხებში. ეს ფაქტი მეტყველებს მისი არა მხოლოდ ორგანიზაციული ნიჭის, არამედ ღრმა ცოდნის დადასტურებას გალახის საკითხშიც. ამას ყველაფერს მან თავისი თავმდაბალი, მშვიდობიანი, პრინციპული მოქმედებით მიაღწია.

მახსენდება ჩემი მასთან ერთად წამოწყებული კვირის ახალგაზრდული გალახის კლუბი. რაბი არიელი „სოხნუთში“ მოდიოდა გიტარით. ახალგაზრდები ისმენდნენ ფარაშთ შავუას, ფართო განმარტებებით გალახებს და ა.შ. რა თქმა უნდა, სიმღერებითა და გიტარის აკომპანიმენტთან ერთად ეს ყველაფერი ძალიან მიმზიდველი იყო. კლუბი დავინყეთ ოთხი ახალგაზრდით, შემდეგ კი ტევა არ იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ახალგაზრდების 80-90% დღეს ოჯახებით ისრაელში არიან, შექმნეს თავიანთი ოჯახები და საკმაოდ იოლი და წარმატებული აბსორბცია ჰქონდათ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დღევანდელ რელიგიურ მსახურთა დიდი ნაწილი საქართველოში რაბი არიელის იემივის აღზრდილები არიან. ყველა ამ დიდ

საქმეს, რომელიც გაკეთდა, უდიდესი სახსრები სჭირდებოდა და აქაც ის იყო ის ადამიანი, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავდა ბავშვებს არაფერი არ დაკლებოდათ, მოსახლეობას მუდმივად ჰქონოდა ქაშერი ხორცი და ამასთან ერთად, ყველა მომსახურეობა ყოფილიყო დროულად.

რაბი არიელ ლევინთან საკმაოდ ხანგრძლივი ნაცნობობა და თანამშრომლობა სრულ უფლებას მაძლევს, რომ ვთქვა: ქოლ-აქავოდ, რაბი არიელ! თევზურას!

კურთხეულ იყავი საყვარელ ოჯახთან და ჯამაათთან ერთად!

იაკობ უხრემაშვილი

ბუჩინ და ღუს

როცა არიელ ლევინის დაბადების 50 წელს აღნიშნავენ, მე მაქვს საიმისო მიზეზი, რომ თავი შევიკავო, არიელ ლევინის ღირსებებზე საუბრისგან, დუმილი ვამჯობინო, ეს მიზეზი პირადული ხასიათისაა და იუბილარსაც კარგად მოეხსენება ჩემი უემოციონობის არსი, მაგრამ ისიც მოეხსენება, რომ საზოგადო საქმის გამო პირადული ათასგზის უკუმიგდია. ამჯერადაც ასე ვიქცევი: არ შემოიღია გვერდი ავუარო საქართველოს დღევანდელი მთავარი რაბინის ღირსეულ საქმეებს.

როცა უზუნაესი საზოგადოებას, ხალხს რაიმე განსაცდელს მოუვლენს, საშველსაც უჩვენებს. წინა საუკუნის 90-იანი წლების დამდგის თბილისი დღითი-ღე იძირებოდა წყვილადში როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ამ წლებში თბილისის ებრაელობას მოევიწია არიელ ლევინი, იმ წლებში არიელ ლევინი ზეცის ნებით მოვლენილი ღვთისმსახური გახლდათ. ამ ქალაქში ღვთის სიტყვას ამკვიდრებდა — თუმიანის ქუჩაზე, იქ, სადაც დღეს რაბანუთია, არა მხოლოდ ახალგაზრდები, ასაკოვანნიც ყოველდღე 3-5 საათი თორას, გემარასაც კი სწავლობდნენ, ცხელ კერძს მიირთმევდნენ, წარჩინებული თალმედები თვეში 50-60 დოლარს ღებულობდნენ (ეს ის დრო იყო, როცა 15-20 დოლარად ბაზრიდან დიდძალ, თითქმის კვირის სამყოფ სანოვავეს მიიტანდი შინ), აშქენაზების ბეთ ქნესეთშიც გონივრულად ირჯებოდნენ: მიხსასა და ყარბითის შორის „დობრი თორა“ იმართებოდა. ადამიანები ცოდნის ნადლით უსმენდნენ ახალგაზრდა რაბის -- არიელ ლევინს და ამ საუბრებით ისეთ სულიერ საზრდოს ღებულობდნენ, ყარბითის მერე შიშისმომგვრელ, ქურდების, ხულიგნების სანაგარდოდ ცქეულ ღამეულ ქუჩებში სიარულსაც კი არ უფრთხოდნენ.

იმ დროს მეც ყოველ დილა-სალამოს დავდიოდი ბეთ ქნესეთში -- დედა გარდამეცვალა და ვცდილობდი „კადში“ არ გამეცდინა.

ხახამ მოშე — ერთობ სასიამოვნო, ჯამაათის დაუზარელი მსახური კაცი — ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა. ვინმე ძლიერაც მოინადინოს, ძალიან გაუჭირდება აუცი თქვას ხახამ დავით ბუზუკაშვილზე -- წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურა ჯამაათს, ერთობ გამრჯე კაცი გახლავთ, მაგრამ ყველას მაინც არიელ ლევინისაკენ ეჭირა თვალთ: ახალგაზრდა იყო, საქმიანი და მომზიბლავი, ებრაული სკოლის დამაარსებელი, რამდენიმე თვის წინათ ამერიკელი, ისრაელელი რაბინები თბილისში ჩამოვიდნენ და არიელ ლევინი რაბინად აკურთხეს, ახალგაზრდობასთან, მოზარდებთან იოლად ამყარებდა კონტაქტს, უყვარდათ, მას ბაძავდნენ. როცა საუბრობდნენ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავარი რაბინი, ყველა ერთხმად ამბობდა არიელ ლევინიო.

აუცილებლად უნდა გავცვას ხახი ერთ გარემოებას: ხახამ მოშეს არ ჰქონია მთავარი რაბინის სტატუსი, მაგრამ დრომ, ჯამაათის ერთგულმა სამსახურმა იგი მთავარ პირად წარმოაჩინა.

სსრ კავშირის დაშლისა და საქართველოს ებრაელობის საერთაშორისო ებრაელობასთან დაახლოების თავჩენილმა ტენდენციამ სულ სხვა მოთხოვნები დასვა დღის წესრიგში: საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციები დიდად აფასებდნენ ქართველი ებრაელობის ერთგულებას ტრადიციებისადმი, მაგრამ მოითხოვდნენ, რომ იგი ჩამოყალიბებულიყო სტრუქტურულ ერთეულად, არავის ენადა ურთიერთობა დაფანტულ, დაცალკევებულ ლიდერებთან. ბელადომანის ჩვენეული სენი კი ამ პროცესს სერიოზულად აფერხებდა. ეს ე.წ. ბელადები დემაგოგიურ თეზას აყენებდნენ: საქართველოს ებრაელობის ცენტრალური სტრუქტურა ყოველთვის ბეთ ქნესეთი იყო, ამიტომ სტრუქტურები არ არისო საჭირო, თითქოს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა, თუ სხვა ქვეყნების ებრაელობისთვის არ იყო მთავარი ბეთ ქნესეთი, მაგრამ მათ მაინც მიზანშეწონილად მიიჩნიეს საზოგადოებრივი სტრუქტურების შექმნა, რომელიც სხვა ქვეყნების ებრაულ ორგანიზაციებთან ისაუბრებდა. ჩვენში კი ეს ვერა და ვერ მოხერხდა — ებლაუჭებოდნენ სახელისუფლებო სტრუქტურებში მიღწეულ წარმატებას და ამით მთავარი ებრაელის სტატუსის მოპოვებას ღამობდნენ.

ამ ფონზე მთავარი რაბინის ინსტიტუტი მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა. თბილისში არსებული „სოხნუთის“ „ჯოინის“ წარმომადგენლებიც, სწორედ

ამას მოგვინოდებდნენ, მათი ავტორიტეტი კი ერთობ მალალი გახლდათ. ცხადია, იმდროინდელი „ჯოინის“ წარმომადგენლობა, ბოლო წლებისას არ ჰგავდა — ისინი ჩვენი მეგობრები იყვნენ. საქართველოს ებრაელობა რომ თავის დროზე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბებულიყო, „ჯოინით“ იმას ვერ იქმნოდა საქართველოში, რაც 2008-10 წლებში გააკეთა — მოყვრად, მეგობრებად გამოგზავნილი დაპირისპირებულ ძალად გვექცნენ და აქედან ნასული წარმომადგენლები არა პატიმრებს, არამედ კეთილ სურვილებს დაგვიტოვებდნენ, ისე, როგორც ეს იყო მენახემ ელაზარის (აქოშვილი), ან იაკობ ოფირის (ეფრემაშვილი) შემთხვევაში.

ერთი სიტყვით, დროის ტენდენციებმა მოამწიფეს არიელ ლევინის არჩევა.

არიელ ლევინს რომ ვუთხარი ხალხს სწადია შენ იყო მთავარი რაბინი-მეთქი, ძალიან შორს დაიჭირა, კატეგორიული უარი თქვა. მეორე შეხვედრისას თავისი უარი იმით გაამაგრა, რომ მე აშქენაზი ვარ, ვაითუ, ქართველმა ებრაელობამ არ მიმიღოსო. მე მას მოვუყვანე რაბინ ხვოლესის მაგალითი, რომელმაც საქართველოში ისე იღვანა, ისეთი რაბინობა გასწია, ხალხის მეგობრად, ლხინისა და ჭირის მოზიარედ იქცა და დღესაც აფასებს ქართველი ებრაელობა. ასევე იყო რაბი კუფჩანის, მისივე მოგვარის — ლევინის და სხვა შემთხვევებიც.

ასე დაჟინებით რატომ მენადა რომ არიელ ლევინი



მთავარი რაბინი გამხდარიყო?

ახალგაზრდობასთან მის ურთიერთობაზე უკვე მოგახსენეთ, იგი მშვენიერი პედაგოგი იყო, ფლობდა აზრის მკაფიოდ, ნათლად გამოხატვის ჩინებულ ნიჭს და კიდევ ერთი... აშქენაზების ბეთ ქნესეთში მიხსასა და ყარბითის შორის თითქმის ერთსაათიანი „დობრი თორა“ ძალიან კეთილ ზეგავლენას ახდენდა ჯამაათის წევრებზე. ადამიანებზე. ჩვენს მთავარ, ქართველ ებრაელთა ბეთ ქნესეთში კი მიხსასა და ყარბითის შორის ერთობ უსიამოვნო დილოგები ისმოდა. ბენადა „დობრი თორის“ პრაქტიკა ქართველი ებრაელთა ბეთ ქნესეთშიც გადმოეტანა არიელ ლევინს, ამაზე ხშირად გვექონდა საუბარი. საოცარი იყო: აშქენაზების ბეთ ქნესეთში თითო-ორიოლა აშქენაზი იყო, სულ ქართველი ებრაელობა მოდიოდა, ისე როგორც დიდ ლოცვაში, მაგრამ აქ იყო წესრიგი, იქ კი...

არიელ ლევინთან საუბრებისას ერთობ აქტიური გახლდათ კენაშო მიხელაშვილი — თორის კარგი მცოდნე და თავისი ისრაელიშვილობით ცნობილი კაცი.

ერთი სიტყვით, არიელ ლევინის დაყოლიება არც ისე იოლი აღმოჩნდა, მაგრამ დავიყოლიეთ.

1994 წ. 20 ნოემბერს ქართველ ებრაელთა ბეთ ქნესეთში გაიმართა საჯამაათო კრება. გადავშალეთ ჩვენი თემის ცხოვრების მემადიტანე — გაზეთი „მენორა“ 1994 წლის მეთერთმეტე ნომერი, რა კორესპონდენციას დაბეჭდილი ამასთან დაკავშირებით:

„თბილისის ქართველ ებრაელთა სინაგოგაში გაზაფხულიდან მოყოლებული ერთობ არასახარბიელო სიტუაცია შეიქმნა — ჯამაათის წევრთა ერთი ნაწილი უემოციონობას გამოსთქვამდა ხელმძღვანელობის მიმართ. მდგომარეობა იმდენად აბურდული გახლდათ, რომ სერიოზულად ვერც იქნა შესწავლილი, თუ რამდენად სამართლიანი იყო გამოთქმული პრეტენზიები. ამგვარმა სიტუაციამ ზეგავლენა მოახდინა სინაგოგის ნორმალურ მუშაობაზე. გაიმართა რამდენიმე კრება, შეხვედრები, კონსულტაციები, რომელთაც პრაქტიკული შედეგი ვერ გამოიღეს.

20 ნოემბრის საერთო კრებაზე გამონახული იქნა პრობლემის გადაწყვეტის გზა. იგი მდგომარეობს შემდეგში: თბილისი იცლება ებრაელთაგან. ჩვენ დღითი-ღე გვაკლდებიან ჩვენი ძმები, ამ დროს არა გვაქვს უფლება ვიყოთ დაყოფილი აშქენაზ და სეფარდ ებრაელებად, ამიტომ სინაგოგის მუშაობაში რადიკალური ცვლილება უნდა იქნას შეტანილი. გავაერთიანოთ ყველა სინაგოგა და მორწმუნე ებრაელთა ხელმძღვანელობა ეთხოვოს ახალგაზრდა რაბინს არიელ ლევინს.

გურამ ბათიაშვილის მიერ წამოყენებულ ამ წინადადების განხილვაში მონაწილეობდა ჯამაათის თითქმის ყოველი წევრი. სიტყვები კი წარმოსთქვეს: ხახამ დავიდმა, ლ. შათაშვილმა, ჯ. აჯიაშვილმა, შ. ჩიკვაშვილმა, შ. ბაჩაკაშვილმა, ს. თეთრუაშვილმა, ი. აჯიაშვილმა ი. ბააზოვმა, შ. წინუაშვილმა, შ. ენისკელაშვილმა, შ. პაპიაშვილმა და სხვ.“

ასე იქნა არჩეული არიელ ლევინი მთავარ რაბინად. **გურამ ბათიაშვილი**

წიგნების პრეზენტაცია



14 ივნისს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ ებრაული სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობამ მოაწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების“ XXVI კრებულის (სერიის მთავარი რედაქტორი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ ლორთქიფანიძე) და მარინე სოლომონიშვილისა ნიგნის — „ებრაული თემი საქართველოში — ჩემი შემოქმედების საფუძველი“ (გზამკვლევი) პრეზენტაცია.

პირველი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოში ებრაული სააგენტო წარმომადგენელმა ბატონმა ავი ოფორმა, ისრაელის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა რუსუდან კერვალიშვილმა, პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ და საქართველოს ებრაელ ქალთა საბჭოს პრეზიდენტმა მარინე სოლომონიშვილმა.

ავი ოფორი:

— დიდი მადლობა მობრძანებისთვის. მიხარია, რომ ამ ღონისძიების ჩატარების საშუალება მოგვეცა. თბილისის უნივერსიტეტის ეს პროექტი ქართველებისა და ებრაელების მრავალწლიან ურთიერთობასა და ორი ქვეყანას შორის მეგობრულ დამოკიდებულებას ასახავს. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ ღონისძიების ჩატარება დღეს, იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობის ხელისშემშლელი ფაქტორები არ აღმოცენდება და მეგობრული ურთიერთობები მომავალ თაობებსაც გადაეცემა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ გურამ ლორთქიფანიძესა და ქალბატონ მარინე სოლომონიშვილს პროდუქტიული მუშაობისთვის.

ბ-მა ავი ოფორმა შეკრებილთ წარუდგინა ებრაული სააგენტოს წარმომადგენელი ალექს კაცი, რომელსაც სააგენტოში მოღვაწეობის 20 წლისთავი შეუსრულდა და დასძინა:

— იგი „სოხნუთის“ წარმომადგენელია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მასშტაბით. ბატონმა ალექს-მა წლების განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ძალიან ბევრ ღონისძიებაში, რომელთა მიზანიც მხოლოდ ერთი იყო: ებრაელთა გადარჩენა. თორაში წერია: ვინც

ერთ სულს მაინც გადაარჩენს, იგი მთელი მსოფლიოს გადამარჩენად ითვლება. ბატონ ალექსს არაერთი ადამიანი გადაურჩენია. მას საქართველოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს.

ალექს კაცი: საღამო მშვიდობისა! ჩემში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დღევანდელი ნიგნის პრეზენტაცია არის პატარა ნაწილი იმ თანადგომისა, რომელსაც ისრაელის წარმომადგენლობა საქართველოსადმი გამოხატავს. დიდ მადლობას გიხდით მოსულ სტუმრებს.

იცხაკ გერბერი: მოხარული ვარ დღეს თქვენს გვერდით ყოფნით. თუკი ისრაელის საელჩო ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენს, ამ საკითხში „სოხნუთს“ უფრო დიდი პრივილეგია აქვს, იგი ებრაელ ხალხს წარმომადგენს. ჩვენ კარგად ვიცით თუ რა მტკიცე კავშირი არსებობს ქართველებსა და ებრაელებს შორის და ეს ურთიერთობა თაობიდან თაობას გადაეცემა უკვე თითქმის 26 საუკუნეა. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ საქართველო არის ქვეყანა, სადაც არასოდეს ხარ მარტო. მიმაჩნია, რომ ის ენა, რომელიც ორივე ერისთვის საერთოა, არის ხელოვნების, მუსიკის, ნახატის ენა, ეს არის ყველასთვის გასაგები, მარტივი ენა. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ გურამს და ქალბატონ მარინეს ამ ნიგნების გამოცემისთვის. წარმატებას გისურვებთ, იმედი მაქვს, მომავალშიც გააგრძელებთ ნაყოფიერ მუშაობას და განახორციელებთ პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ორი ერის ურთიერთობის გაღრმავებას.

როინ მეტრეველი: ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ნიგნის პრეზენტაცია მოეწყო. მასში აღწერილია ორი ერის სიყვარული და პატივისცემა. ეს ნიგნი გურამ ლორთქიფანიძის ინიციატივით გამოვიდა, მას საქართველოში ისრაელის წარმომადგენლობა ეხმარებოდა. ნიგნში შესულია მასალა, რომელიც ბევრ სიახლეს მიაწვდის ხალხს. კრებულის ავტორებმა დიდი სამუშაო გასწიეს, რისთვისაც პატივისცემისა და მადლობის ღირსნი არიან. ცოტა ხნის წინ საქართველოდან, რუსთაველის დღეებთან დაკავშირებით ისრაელში დელეგაცია იყო წასული, ჩვენ შევხვდით იერუსალიმის პატრიარქს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მთელ ებრაელ ერს, რომელიც ქართულ კულტურას პატივისცემით ეპყრობა. ისრაელი ჩვენს გვერდით დგას ჭირსა თუ ლხინში. იმედი მაქვს, ჩვენი მეგობრობა გამყარდება და მრავალმხრივ განვითარდება.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **რუსუდან კირვალიძე** ჩემთვის დიდი პატივია ამ ღონისძიებაზე ყოფნა. ვხედავ როგორ ინახავს ებრაელი ხალხი ქართულ ტრადიციებს. ეს თითოეული აქ მყოფი ადამიანის დამსახურებაა. ძალიან დიდი მადლობა გურამ ლორთქიფანიძეს და ქალბატონ მარინე სოლომონიშვილს. დიდი მადლობა იმ თანადგომისთვის, რომელსაც ჩვენდამი ყოველდღიურად იჩენთ.

დამსწრეთ მადლობა გადავუხადეს ბ-მა გურამ ლორთქიფანიძემ და ქ-მა მარინე სოლომონიშვილმა.

ა.შ.შ-ს ებრაელობას გააქრობა ემუქრება?

ამერიკელი ებრაელების 54% შერეულ ქორწინებას ეტანება და ეს პროცენტი მუდმივად იზრდება, ამის შესახებ იერუსალიმში ებრაული უნივერსიტეტის ცნობილი სოციოლოგის — სერხიო დელაპერგულას კვლევებშია საუბარი.

კვლევების მიხედვით, ა.შ.შ-ს ებრაელი ოჯახების შვილების მხოლოდ 25% დადის ებრაულ სკოლებში. კანადაში სიტუაცია ოდნავ უკეთესია — შერეულ ქორწინებაში ებრაელების 35% შედის, ბავშვების 55% კი ებრაულ სკოლებში სწავლობს. მექსიკაში მხოლოდ 10% შედის შერეულ ქორწინებაში, 85% კი ებრაულ განათლებას იღებს. შერეული ქორწინებების მაჩვენებელი საფრანგეთსა და ინგლისში 40-45% შეადგენს.

ა.შ.შ-ში შერეული ქორწინებების მატების პარალელურად მათი რაოდენობა რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში მცირდება. აღსანიშნავია, რომ ათი წლის წინ ეს მაჩვენებელი 75% შეადგენდა და ბოლო პერიოდში შემცირდა. რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში ამ ცვლილებას სოციოლოგები ებრაული ორგანიზაციების აქტიურ მუშაობას მიაწერენ.

ნეთანიაჰუს ჰოპვარობა პიკაბა მისული

ინსტიტუტ „დიალოგის“ და პროფესორ კამილი ფუკსის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით პრემიერ-მინისტრის ა.შ.შ-ში გამოსვლა ისრაელელების შთაბრძნობას განაგრძობს.

ნეთანიაჰუ არა მარტო ინარჩუნებს თავის პოპულარობას, არამედ აუმჯობესებს ყოფილ რეკორდს, მისი რეიტინგი ამჟამად 50%-ს შეადგენს, ეს ხალხი მთავრობის პოლიტიკით კმაყოფილია და თვლის, რომ ნეთანიაჰუ ყველაზე მეტად შეეფერება ამ პოსტს.

მისი მთავარი კონკურენტის ციპი ლივნის რეიტინგი მხოლოდ 31%-ს შეადგენს. ფიქრობენ, რომ ახლანდელი პრემიერი უკეთესად უძღვება თავის საქმეს, ვიდრე ამას „რკინის ლედი“ გააკეთებდა. ამრამ მიცნამ, რომელიც გამოკითხვებში როგორც, ავოდის „მეთაური ისე ფიგურირებდა, ხმების მხოლოდ 20% მიიღო, გამოკითხვაში შეეფერება თუ არა იგი სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობას.

მემარცხენა მწერლები და პოლიტიკოსები ევროპას პალესტინის ალიარეისკენ მოუწოდებენ

დაახლოებით ოცმა ისრაელელმა საზოგადო მოღვაწემ, რომლებიც მემარცხენე პოლიტიკურ ბანაკს მიეკუთვნებიან, ხელი მოაწერეს ევროპის ქვეყნებისადმი მიმართვას, რომელიც მათ პალესტინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდებს.

როგორც newsru.co.il იტყობინება, ხელმოწერებს შორის არიან — ქნესეთის ყოფილი თემჯდომარე აბრაამ ბურგი, რომელმაც ადრე განაცხადა, რომ ისრაელი ებრაული სახელმწიფო არ უნდა იყოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი გენდირექტორი ალონ ლიელი, ისრაელის ყოფილი ელჩი სამხრეთ აფრიკაში ილან ბარუხი, მთვრობის ყოფილი მრჩეველი მიხეილ ბენ-იარი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი დანიელ კონენანი, ფილოსოფიის დარგში ისრაელის პრემიის ლაურეატი ავიში მარგალიტი, მწერლები ნირ ბარამი და რომან მატალონი.



ქართული ხალხური ზღაპრები ებრაულ ენაზე

თბილისში გამოიცა ქართული ხალხური ზღაპრების ორი პატარა ნიგნი ებრაულ ენაზე. ესენია: „ორი ძუნწი“ და „ორი ძმა“.

ზღაპრები ქართულიდან ებრაულ ენაზე თარგმნა ილიას უნივერსიტეტის ებრაული ენის პედაგოგმა **სალომე ქარდავამ**, თარგმანების რედაქტორი გახლავთ პროფესორი **მამუკა ბეცხრიკიძე**. ნიგნები ილუსტრირებულია **მაკა გაბაშვილის** მიერ.



დაგვუხანგალები და გაომცემელები:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557
9771987898003